**№ 19.** 28 იანვარი, პარასკევი. 1866—1883 28 იანვარი, პარასკევი. **№ 19.**

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

**რედაქცია**

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

**ხელის-მოწერა**

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში: ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба".

**„დროების" ფასი:**

მთელის წლისა . . . 9 მან. ‖ სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. ‖ ერთი თვისა . . . 1 მან.

**ფასი განცხადებისა**

დიდის ასოებით, ასოზე ერთი-კაპეიკი, ამოსათავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი, [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

## ტელეგრამმა

(„ჩრდილოეთ ტელეგრაფის სააგენტოსი")

### რუსეთიდამ

25 იანვარს.

**უზენაესი მანიფესტი**

წყალობითა ღვთისათა ჩვენ, ალექსანდრე მესამე, იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად როსსიისა, მეფე პოლშისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა და სხ. და სხ. და სხ. ვუცხადებთ ყოველთა ჩვენთა ერთგულთა ქვეშევრდომთა: ღმერთმა ინება აღსვლა ჩვენი ტახტსა ზედა წინაპართა ჩვენთა და განუყოფელთა მისგან ტახტთა ზედა პოლშის სამეფოისა და დიდისა სამთავროსი ფინლიანდიისა; დროსა საშინელის მრწუნვისასა, საშვალ ფრიადთა მწუხარებათა და ვაებათა, რომელთა შეიცვეს ერთად ჩვენთან გულნი ერთგულთა ჩვენთა ქვეშევრდომთანი, უდროო იყო დაგვენიშნა და გაგვემართა დაგვირგვინება ჩვენი; დავმორჩილდით რა აღუარებელსა ბრძანებასა განგებულებისასა და რისხვასა უფლისასა ჩვენ გადავსწყვიტეთ, არ შევდგომოდით საღმრთოსა ამას მოქმედებასა, ვიდრემდის არ დაწყნარდებოდნენ გრძნობანი, აღელვებულნი საშინელისა ბოროტ-მოქმედებისაგან, რომელთან შეიწირეს მსხვერპლად კეთილისმყოფელი თვისისა ერისა, საყვარელი მშობელი ჩვენი.

აწ მოახლოებულ არს ჟამი, აღვასრულოთ ნება ღვთისა და სურვილი ჩვენი და ყოველთა ერთგულთა ქეთა მამულისათა. მსგავსად უკეთილ-მსახურესთა ხელმწიფეთა—წინაპართა ჩვენთა განვიზრახეთ ჩვენ, დავიდგათ თავსა ზედა ჩვენსა გვირგვინი და აღვასრულოთ დაწესებული მირონ-ცხებაი ერთად საყვარლის მეუღლის ჩვენისა ხელმწიფე იმპერატრიცის მარიამ თეოდორის ასულითურთ.

ვაუწყებთ რა ესე ვითარსა განზრახვასა ჩვენსა, რომელიცა, შეწევნითა ღვთისათა, უნდა იქნეს აღსრულებულ პირველ სატახტო ქალაქსა მოსკოვს, თვესა მაისს, მოვიწვევთ ყოველთა ჩვენთა ქვეშევრდომთა, შეგვიერთდენ ჩვენ მხურვალესა ლოცვასა შინა. ღმერთმა ყოვლის შემძლებელმან დაგვიცვას ჩვენ და სამეუფო ჩვენი მშვიდობასა, უშიშროებასა ქვეშე; გარდმოავლინოს ჩვენდამი სული სიბრძნისა და გონიერებისა; შეგვეწიოს ჩვენ, შემდეგ დაგვირგვინებისა აღვასრულოთ სარწმუნოთ-მიღებული ჩვენგან აღთქმა, შევწიროთ მთელი ჩვენი ძალა კეთილ-დღეობასა და დიდებასა საყვარელის სამშობლოსი, მსახურებასა მართლისადმი და ზრუნვასა კეთილისათვის ღვთისგან მონდობილის ჩვენდამი ერისა.

მიცემულ არს ს.-პეტერბურღს, 24 იანვარს, წელსა ქრისტეს შობიდამ ათას რვაას ოთხმოც-და-სამსა, მეორესა წელსა მეფობისა ჩვენისასა.

ალექსანდრე.

**პეტერბურღი.** გაზეთები დიდის თანაგრძნობით მიესალმებიან უზენაესს მანიფესტს და მომავალ გვირგვინის კურთხევას აღიარებენ ნიშნად საზოგადო დამშვიდებისა და გაჭრობისა და წარმოების გაცხოველებისა. მიაქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას—თუ რატომ იყო ამდენ ხანს გადადებული გვირგვინის კურთხევა და ამბობენ, რომ იმ გრძნობას, რომელიც ხელმწიფე იმპერატორის მანიფესტში არის გამოცხადებული, მთელი რუსეთის ხალხი თანაუგრძნობსო.

ოქრომჭედელს ხლებნიკოვს 150,000 მანეთის სუფრის ჭურჭელი შეუკვეთეს გვირგვინის კურთხევისათვის; 6,000 კაცისათვის უნდა იყოს დამზადებული ვერცხლის დანა-ჩანგალი და სხვ. ჭურჭელი.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ გუბერნიის ერობათ მოსთხოვა სახალხო განათლებისა და სარჩოს შესახებ ცნობების გამოგზავნა გაზაფხულისათვის.

**სიმფეროპოლი.** გუბერნიის საერო კრებაში წინადადება შეიტანეს, რომ უადგილ-მამულო მესჩანებს და სხვა-და-სხვა წოდების პირთ მიწა-წყალი მიეცეს.

### სამზღვარ-გარეთიდამ

26 იანვარს

**ცეტინიე.** ჩერნოგორიას რომის პაპასთან მოლაპარაკება აქვს კონკორდატის შეკვრისა და ანტივარში ეპისკოპოსის დანიშნვის თაობაზედ.

**ვენა,** გუშინ და დღეს ავსტრიისა და ვენგრიის მინისტრებს, იმპერატორის თავსმჯდომარეობით, მოლაპარაკება ჰქონდათ ვენგრიაში და გალიციაში სამხედრო რკინის გზების გაყვანის თაობაზედ.

**პარიჟი.** გამომძიებელმა გადასცა გუშინ პროკურორს ქაღალდი პრინც ნაპოლეონის სამართალში მიცემის თაობაზედ დადგენილ მმართებლობის ფორმის შეცვლის განზრახვისათვის; პროკურორი თავის აზრს ამ ხუთ დღეში სამსაჯულო პალატას წარუდგენს.

პარიჟის მეხუთე ამომრჩეველთ უბანში დეპუტატად ამოირჩიეს რადიკალი-სოციალისტი დოქტორი ბურნევილი.

**პარიჟი.** სენატის კამისია წინააღმდეგია დეპუტატთა პალატისაგან მიღებულ კანონისა პრინცების განდევნის შესახებ.

26 იანვარს

**პარიჟი.** პრინცების შესახებ კანონის მომხრეთ რიცხვი სენატში 114 სენატორია, წინააღმდეგი კი 143; ბაასი ამ საგნის შესახებ სენატში შაბათს დაიწყება. ყველანი დარწმუნებული არიან აქ, რომ სენატი უარსყოფს ამ კანონს და ამის შემდეგ სენატსა და დეპუტატთა პალატას შორის შეტაკება მოხდებაო. მინისტრები პალატისაგან მიღებულ კანონის მხარს დაიჭერენ.

---

### ექიმები ტფილისში

არა-ერთხელ იყო აღწერილი და საქვეყნოდ აღიარებული ის უკიდურესი, უბედური მდგომარეობა, რომელშიაც არის აქ ქამალ ჩაყენებული უმრავლესი ნაწილი ქ. ტფილისის მცხოვრებლებისა, უექიმობის გამო. სწორედ ამის შედეგი გახლავთ ის მოვლენა, რომ თითქმის ყოველს დღეს ქუჩაში შეხვდებით ხოლმე რამდენიმე მკვდარს; და თუ კი მიიღებთ ჯაფას და ჩაიხედავთ კავკასიის სტატისტიკაში, თქვენ უეჭველად დაინახავთ განსაცვიფრებელ პროცენტს სიკვდილისას ჩვენს ქალაქში.

---

**„დროების" ფელეტონი, 28 იანვარი.**

### გული

(თ. დ. ბ—ლის.)

სიბრალო გულო! შე ბედკრულო, რით
ისულდგმულო?
მთლად მოკლებულმან გრძნობა-ღელვას
ვითღა იგულო?!
ნუ თუ შეიძლებ ჩვეულებრივ ოდესმე
ძგერას,
და სიმნი შენნი, გლახ ნაშენნი, კვალადცა ჟღერას?

* * *

არა, ვერ შესძლებს აწ შენს ვარდზედ
სტვენას ბულბული,
და ვეღარც მოგფენს სურნელებას ვარდი,
სუმბული:
დიდი ხანია, სამოთხისა დაგეხშო კარი
და დაგერეკა მიმინებად გლოვისა ზარი!..

* * *

ვეღარ მოგალხენს ციურთ დასთა ციური
ხმები;
ანაზდეულად უსამართლოდ უდროვოდ
ხმები!..
ზეცა წაგართვეს და მართალნი ცის გამარისა...
და მიგატოვეს ანაბარად ცივ სამარისა!

* * *

ვეღარ უყურებ შემოქმედსა, რომ აუწყო მას,
რასაც შენა გრძნობ, და ვერ ბედავს მხოლოდ ენა თქმას...
უნდა დაჭყურო შავბედითმა მიწასა შავსა,
მას გაუმაძღარს, გაუტანელს, ბოროტს
და ავსა,

* * *

სად უსამართლოდ დღე-მუდამ კაცთ სისხლი იღვრება,
და უნებლიედ კვდარი გული უფროორე
კვდება!..
სადაც დასშულა სათნოება, ღვთისა ხატება,
სად სიძულვილი, შური, წყენა თვალს ესატება!

* * *

აი, საბრალოვ, დაცემული შენი სადგური...
მას უზნეობის, კაცთა შუღლის ასდის ალმური!..
გავშმაგებულვარ!..მაშ, სადღაა შენი მაღალი
დანიშნულება: სასოება და საღმრთო ვალი?!.

* * *

მოდით, შემოკრბით, მეგობარნო, დაუძლურებულს
სიმართლის დევნით წამებულსა, შევბა მივცეთ გულს,
რომ მან შეიძლოს ცის მცხოვრებთთან
კვლავ აღმაფრენა,
რომ მას აესხნას თვის გრძნობანი და
თვისი ენა!

25 იანვარს. ა. ცაგარელი.

---

### რკინის გზის მატარებელში.

ნამდვილი ამბავი

(დასასრული *)

საჩქაროდ ამოვართვი ჩემს მსხვერპლს უბიდამ საათი და ჯიბიდამ ფულები, წამოვისხი მისი სახურავი და გავიქეცი გზისაკენ. კარგად ამოვიყარე ჯავრი განა, ჩემო ბატონო? მართალია განა, რომ მხოლოდ გიჟსა აქვს ამისთანა ღონე და სიმტკიცე ხელისა ასასრულებლად ამისთანა საქმისა?

ეს საშინელი ლაპარაკი რომ გავიგე, გავფიჩხდი, ენა ჩამივარდა და ვიჯექი უძრავად, როგორც კლდე.

— ეხლა უნდა გიამბო, განაგრძო მან, როგორ გამოვედი გიჟების სახლიდამ. ექიმი სწორედ ჩემი ტანის კაცი იყო და ამან ძრიელ მიშველა. წამოვისხი მისი სახურავი, ავიკეცე მაღლა საყელო და ყარაულებმა, იმ უგუნურებმა, თავისუფლად გამიშვეს კარში. გამოველი თუ არა თავისუფალ გზაზედ, როგორც ცოფიანი ისე მივრბოდი რკინის გზისაკენ. მადლობა ღმერთს, კარგს და დანიშნულ დროს მიველი. რასაკვირველია, მაშინვე ავიღე ბილეთი და, აი, აქა ვზივარ თქვენთანა.

ისე ახლოს მოიტანა თავი, რომ თითქმის ვგრძნობდი ჩემს სახეზედ მისს თბილს სუნთქვასა. თვალები ისე უბრწყინავდენ, როგორც ცეცხლის ნაკვერჩხალი.

— ეხლა მაინც მითხარი, მართლა გიჟი ვარ თუ არა?—მკითხა მან ბრძანების სახით.

მე ვგრძნობდი საჭიროებასა, მეხმა-

*) იხ. „დროება", № 18.

რა არის ამის მიზეზი? რითი აიხსნება ეს უცხო მოვლენა ჩვენ ცხოვრებაში? მიზეზად, რასაკვირველია, ვერ შევგვიძლიან ჩავთვალოთ ბუნება საზოგადოდ მთელი საქართველოსი და კერძოდ ჩვენი ქალაქისა; ამიტომ რომ ის, როგორც თვით ექიმებისაგან არის აღიარებული და ეგრეთვე გამოჩენილთ ბუნების მეცნიერთაგან დამტკიცებული, არის უმშვენიერესი და ხალხის სიმრთელისათვის მეტის-მეტად მარგებელი, რაც უფრო კარგად მტკიცდება იმითი, რომ თითქმის მთელი რუსეთიდამ ჭლექიანები და სხვა და სხვა გვარი ავად-მყოფები, მოსარჩენად, კავკაზიისკენ გამოემგზავრებიან ხოლმე. ეს ისეთი თვალსაჩინო ჭეშმარიტებაა, რომ ამაზედ ლაპარაკს საჭიროდ არა ვრაცხთ.

აგრეთვე ვერ შევგვიძლიან მიზეზად მივიღოთ ექიმთა სიცოტავე, ამისთვის რომ მათი რიცხვი ძრიელ საგრძნობელია ამ ჟამად ჩვენს ქალაქში; ექიმები ირიცხებიან ჩვენში თითქმის 100-ზე მეტი; მაშასადამე ტფილისის მცხოვრებთ არასოდეს არ ექნებათ მათში ნაკლულევანება.

მაშ რაღა არის ამის მიზეზი?

ეს ძალიან ადვილად ასახსნელია, თუ ჩვენ მივიღებთ მხედველობაში ერთის მხრით მცხოვრებთ სიღარიბეს და მეორეს—ექიმთა სიძვირეს, რომელნიც, როგორც თქვენც კარგად მოგეხსენებათ, ავად-მყოფის თითო ნახვას ორ-სამს მანეთად აფასებენ; და, აბა, ახლა თქვენ წარმოიდგინეთ, სადა აქვს საწყალ კაცს იმდენი შეძლება, რომ დღეში ორი-სამი მანეთი აძლიოს ექიმს, როდესაც იმას თვითონ დღიური შემოსავალი, საშუალო რიცხვით რომ ვსთქვათ, ერთი მანეთი აქვს, რადგანაც მომეტებულ რიცხვს ქალაქის მცხოვრებთა შეადგენენ მოხელენი და მუშა ხალხი. ამასვე დაუმატოთ ისიც, რომ, თუ კაცი სამი და ოთხი თვე ავად არის, მაშინ არამც თუ თვით ავად-მყოფი მოკლებული იქნება ლუკმა-პურს, ქონებას, არამედ ის დიდ იარას დაასვამს მთელი ქალაქის კეთილ-დღეობას.

აი, სწორედ ეს გახლავთ მიზეზი იმისა, რომ ბევრი კაცი უბრალოდ და ექიმის საშუალობით ადვილად მოსარჩენი ავად-მყოფი კვდება ისე, რომ ექიმი არ უნახავს, კვდება ისე, რომ ერთი გონივრული რჩევაც თავის მოსარჩენად არავისაგან არ მიუღია. აბა, ამის შემდეგ, რაღა გასაკვირველია, რომ ყოველ-წლივ სიკვდილის რიცხვი მატულობს და ფართოვდება.

რატომ არა ვცდილობთ ჩვენის ცხოვრების გაუმჯობესობას; რატომ ჩვენი მოწინავე საზოგადოება არ ჰფიქრობს, რა საშუალობის ძალით შესაძლებელია ამ სენის მოსპობა; რატომ ექიმები, აღჭურვილნი თითქო მაღალ ჰუმანიური აზრებით, არაფერს იმისთანა სახსარს არ ჰპოულობენ, რომლითაც შეგვძლებოდა უდროო-უდროო მსხვერპლი გამოვვეცალა ხელიდამ მტაცებელ და კაცი-ჭამია სიკვდილს? რასაკვირველია, ძრიელ ძნელია და თითქმის შეუძლებელი კაცის საშუალობით ამ სენის სრულიად განდევნა, მაგრამ ის, რაც შესაძლებელია ჩვენის მხრით და რაც არსებობს დიდის სარგებლობით სხვაგან, ის მაინც არ უნდა გაუშვათ ხელიდამ.

ჩვენის ქალაქის მმართებლობის ვალია იხმაროს და შემოიღოს ყოველი ღონისძიება თავის რწმუნებულ ხალხის ცხოვრების გაუმჯობესობისათვის. თუ კი ამავე რჩევამ საჭიროდ დაინახა ამ უკანასკნელ მიზნის მისაღწევად ქალაქში ცხენის-რკინის გზის გაყვანა, ნუ თუ უფრო სასარგებლო და მთელი ქალაქის კეთილ დღეობისათვის მარგებელი არ იქნება, რომ როგორმე შევამციროთ სიკვდილის რიცხვი, რომელიც, კიდევ, რაც უფრო დრო გადის, მით უფრო მატულობს ჩვენი დაუდევნელობისა და უყურადღებობისაგან.

ამ გაძლიერებული სენის დასამცირებელ და შეცოტავების სახსრადა, ჩემის აზრითი უკეთესი იქნებოდა გვეხმარა შემდეგი: ამ ჟამად ტფილისში ითვლება 100,000 სული მცხოვრებნი; ვსთქვათ 20,000 შესდგეს მდიდართაგანნი და შეძლებთაგანნი, რომელთაც შეუძლიანთ არამც თუ ვიზიტების ფული გულ-უხვად აძლიონ ბ. ექიმებს, არამედ შეუძლიანთ მთელი წლით დაიქირაონ და იყოლიონ საკუთარი ექიმი თავის ხარჯით; გარდა ამათისა, დარჩება კიდევ 80,000 სულამდის ღარიბი და ღატაკი მცხოვრებნი, რომელთაც არა გზით არ შეუძლიანთ ყოველ ავად-მყოფისთვის მიიწვიონ ექიმი და მათ თითო მისვლაზედ აძლიონ ორი და სამი მანეთი. ამ გვარ გარემოების თავიდამ ასაცილებლად ძრიელ კარგი და სასარგებლო იქნებოდა შემოვიღოთ ჩვენში ის წესი, რომელიც დიდი ხანია არსებობს ზოგიერთ დასავლეთ ევროპიის ქალაქებში, მაგალ. მიუნხენში, ციურიხში და სხვ. ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზედ, რომ ტფილისის მცხოვრებნი დაყოფილ იქმნენ რამდენიმე ნაწილებად ანუ უჩასტკებად და თითო ნაწილმა დაიქირაოს საერთო ხარჯით საკუთარი ექიმი.

ამ აზრის განხორციელება და სისრულეში მოყვანა უნდა მოხდეს ამ რიგად: ტფილისის 80,000 მცხოვრები შეადგენენ 80 უბანს. თუ თითოში შევრიცხავთ 1000 მცხოვრებს; მაშა სადამე ჩვენ დაგვჭირდება მხოლოდ 80 ექიმი. თითოეულ მცხოვრებმა რომ წელიწადში გარდაწყვეტილი ხარჯი იხადოს ამ საგნისათვის, საშუალო რიცხვით ვთქვათ, ორ-ორი მან., მაშინ ექიმს შეუდგება წლიური ჯამაგირი 2000 მან. ეს ჯამაგირი იმას კარგად აცხოვრებს, და ყოველი პატიოსანი ექიმი დაკმაყოფილდება ამითი.

ესეთი წყობილება მით უმეტესად და ჩქარა მიაღწევს თავის მიზანს, რომ მაშინ ექიმთა მეტოქობის გამო, ეს უკანასკნელნი უფრო გულ-მხურვალედ და სვინიდისიანად მოჰკიდებენ ხელს თავის საქმეებს, რადგანაც იგინი იქმნებიან დამოკიდებულნი დამქირავებელ საზოგადოებისაგან. მე არ ვიცი უნდა კიდევ ამაზე ლაპარაკის განგრძელება, თუ როგორი სარგებლობის მოტანა შეუძლია ამ გვარი წყობილებას ტფილისის მცხოვრებთათვის. ეს ყოველთვის და ყოველთათვის ცხადია. ამითი ჩვენ გადავდგამთ ერთს ძრიელს ნაბიჯს ჩვენის ცხოვრების წარმატებაში.

ამ პროექტის განხილვა და დაფასება შეადგენს, როგორც ზემოთა ვსთქვი ქალაქის რჩევის ვალს.

ვგრო.

## დღიური

აპზობენ, რამდენიმე სახლის პატრონთ ჩვენის ქალაქისა თხოვნა მიუციათ ბ. ქალაქის თავისათვის, რომ მან იშუამდგომლოს უმაღლესის მთავ-

---

რა მამაცობა, შემეკრიბა ძალა სულისა და გულის—და უთუოდ მიმეცა პასუხი და როგორმე განვთავისუფლებულიყავ ამ საშინელ განსაცდელ ჭირსა. ოფლი წვიმასავით ჩამომდიოდა პირისახეზედ და გული მიკანკალებდა. რამდენიმე წამს ვებრძოდი ჩემს საცოდავ თავსა და ბოლოს კანკალით წავიბუტბუტე:

— დიახ.... მგონია.... თქვენ.... გიჟი ხართ.

— ეხლავ მაგას დაგიმტკიცებთ,— წაიბუტბუტა და მომიჯდა ახლო,— იცით როგორა?

თავი გავუქნიე და მით შევატყობინე, რომ არ ვიცოდი.

— მაშ არ იცი?—დაცინებით გაიღიმა. ოხ! ეს ხალხი, რა უგუნურია! შენც ისე მოგკლამ, როგორც მოვკალი ექიმი. იქნება გგონია, ცოცხალი გაგიშვა, შემდეგ ჩემის ამბვის შეტყობისა, რომ გამცე და კიდევ ხელ-ახლად დამიჭირონ და წამიყვანონ ისევ გიჟების სახლშია? არა, მოწყალეო ხელმწიფევ, გიჟები გამბედავნი არიან, ღონივრები არიან და აქვსთ დიდი მოხერხება.

წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა. ფიზიკური ღონისა მე იმედი არა მქონდა, უშიშრობა და სიმტკიცე სულისა იყვნენ ჩემი მხსნელნი სიკვდილისაგან.—მომივიდა თავში, როგორც ელვა, უცებ აზრი, რომელიც იბადება თავის თავად გაჭირების დროსა. წამოვხტი უცებ ადგილიდამ და რაც ძალი და ღონე მქონდა შევყვირე:

— უკაცრავად, მოწყალეო ხელმწიფევ, ეგრე არ შეიძლება. ჯერ სუყველა არ გიამბნიათ. თუ თქვენ გსურთ უთუოდ ჩემი მოკვლა, მაშ მე მაქვს ნება მოგთხოვოთ, რომ თქვენ არაფერი დამიმალოთ, ყველა მიამბოთ.

— ზანა ეგ შეიძლება!—ზანცვიფრებით სთქვა მან.—აბა, მითხარი რა დაგიმალე, არ გითხარი?

— მე ჯერ არა ვიცი-რა ლორდ პალმერსტონზედ და ტრეფის ტუზზედა.—შევყვირე.

— მე მგონია,—უგულოდ მითხრა, რომ იმათ ამბავში ვერას ჰპოვებთ საყურადღებოს...

— სრულებითაც არა! ჩემთვის ძრიელ შესანიშნავია მათი ამბავი და სანამ დაწვრილებით არ მიამბობთ, იცოდეთ არ დაგემორჩილები.

ვაცოდი, რომ შორს აღარ იყო ბინა ჩემის ჩამოხტომისა, მინდოდა ამით გამეფანტა მისი საშინელი ჩემთვის აზრი და მით მხოლოდ შემეძლო გამომეხსნა თავი სიკვდილისაგან. საჭირო იყო გამერთო ლაპარაკში.

— ზამიგონე,—სთქვა მთქნარებით გიჟმა.—რადგანაც თქვენ დიდს მნიშვნელობას აძლევთ და გსურთ შეიტყოთ მათი ამბავი, მაშ უნდა იცოდეთ, რომ ლორდ პალმერსტონი და ტრეფის ტუზი იყვნენ ნამდვილი მიზეზნი ყველასი.

— თქვენ პირ-და-პირ იცნობდით პალმერსტონსა?—ვკითხე, რომ ეგები, დრო დიდი გასულიყო ლაპარაკში.

ამ კითხვაზედ ისე შემომხედა, თითქო ვერ გაიგოო.

— ვიცნობდი მე იმასა?—ზანიმეორა მან.—თითონ მე გავზარდე და ვასწავლიდი ჩემს მამულში.

— ჰო! მივუგე მე.—ეგ ძრიელ ყურადღების ღირსი საქმეა. ზთხოვ დაწვრილებით და დაწყნარებით მიამბოთ.

— პალმერსტონი მიყვარდა,—სთქვა მან,—როგორც საკუთარი შვილი და თითქმის მომეტებულად იმიტომ, რომ ჩემს შვილებს, რომ მყოლოდენ, უთუოდ დავხოცდი, მხოლოდ იმას კი არას დროს არ მოვკლავდი.

ამ დროს საშინლად გადაატრიალა თვალები, გაჰჭიმა ხელის თითები, თითქო უნდოდა ყელში მომვარდნოდა.

— დავხოცდი ჩემს საკუთარს შვილებს!—ბოხის ხმით წამოიძახა.—მოკვლა ვისიმე—ნამდვილი შექცევაა.

— მადრიელი და მორჩილი იყო თქვენი ლორდ პალმერსტონი?—დაუყვირე მაღლის ხმითა.

ამ კითხვაზედ მის პირის-სახეზედ როგორღაც მოიღრუბლა.

— ახ! შევსცდი,—მომიგო მან, მაგრამ იმას ვინ იფიქრებდა.

— მაშასადამე გიმტყუვნათ მეგობრობაში?

— დაიღუპა,—ბატონო, დაიღუპა! მე მზად ვიყავი მთელი ჩემი ქონება მომეხმარა იმის მოსარჩენად, მაგრამ ვერა უშველერა. წარმოიდგინეთ უეცრად დაიწყო კოჭლობა მარჯვენა ფეხზედ. მე ვხარჯავდი მილლიონს, მაგრამ...

— მაშ ლორდ-პალმერსტონი თქვენი ცხენი იყო?

— ზანა არ გითხარით?—წაიბუტბუტა გაჯავრებით. რასაკვრელია, ჩემი ცხენი იყო. როგორც ვხედავ, თქვენ ჩემს ლაპარაკს სრულებით ყურს არ უგდებთ და სხვა რაღაცებზედ ჰფიქრობთ.

— რას ბძანებთ, მოწყალეო ხელ-

რობის წინაშე არ მოისპოს კავკასიის აქეთა მხრის „პრიკაზი“, როგორც სასარგებლო დაწესებულება მთელის ჩვენის ქვეყნისათვის და უმეტესად ტფილისისათვის.

მოგეხსენებათ, რომ უმაღლეს მთავრობას კარგა ხანი განზრახვა აქვს, რომ პრიკაზი გააუქმოს.

* * *

გაზ. „თერგში“ (Терекъ) იწერებიან სოფ. ალაგირიდამ:

„თითქმის მუდამ წელს ცუდი მოსავლისაგამო რაჭის მაზრაში, ხშირად შეხვდებით ხოლმე იქაურ მცხოვრებთ ზამთრობით ჩრდილოეთ ოსეთში, ყაბარდოში და ბალკარიში, სადაც ერთობ მცირე ქირით ასრულებენ ხოლმე სხვა-და-სხვა მუშაობას. ესეთი მოგზაურობა, ეტყობა, მობეზრდა ამათაც და, აი, გასული წლიდამ იწყეს გადმოსახლება და სამუდამოდ დაბინავება სოფ. ალაგირში, სადაც ერთობ ძვირად იძენენ შენობათა და სამოსახლო ადგილებს. სულ ამ ჟამად ალაგირში გადმოსახლებულა 70 კომლი იმერელი (რაჭველი) და ამას გარდა 50 ოჯახი მხოლოდ ზაფხულამდის დარჩება, მაგრამ ამათაც ჰსურსთ შეიძინონ ადგილები და დარჩნენ აქ.... სამწუხაროა, რომ ალაგირელებს არ შეუძლიანთ ეს იმერლები შერიცხონ თავიანთ საზოგადოების წევრებად. საქმე იმაშია, რომ თვით ამ საზოგადოებასაც მცირე ადგილ-მამული აქვს და ეს გადმოსახლებულებიც რომ მიიღონ თავიანთ საზოგადოებაში, უნდა მათაც გაუწილადონ ადგილეაი. თუ ადგილობრივი მთავრობა ყურადღებას მიაქცევს ამ გაჭირვებულ იმერლებს, ადვილად შეუძლიან მათი შველა. სახაზინო ალაგირის ქარხნის განკარგულებაშია 1200 დესიატინა, რომელიც ქარხანას სრულებით არ სჭირიან. ამ მიწის გადაჭრით საზოგადოებას დიდი შემწეობაც მიეცემა და იმერლებიც შეუერთდებიან მას.“

* * *

გასულ 23-ს ტფილისის კლუბში გამართულს ბალიდამ სომეხთ ქალების კეთილ-მომქმედ და სომხურ წიგნების გამომცემელ საზოგადოების სასარგებლოდ, შემოსულა 2,750 მან.

* * *

ექიმს მროსკოვსკის გამოუკვლევია აბასთუმნის მადნის წყლები და უცვნია, რომ ამ წყლებს დაუკარგავთ ბევრი ადრინდელი თვისება ამ გადაშენებ-გადმოშენების გამო უკანასკნელ ხანებში, და ამიტომაც ეს მადნეული წყლები ვეღარ აძლევს ავადმყოფს ისეთ შველას, როგორც ადრეო. ასე რომაო, იწერება გაზ. „მოსკოვ. ტელეგრ.“ კორრესპონდენტი, ხაზინის ფულმა—ასი ათას მანეთობით წარმატების მაგივრად—ბუნებრივი მკურნალობითი ღირსება დაუკარგა აბასთუმნის მადნის წყლებსაო.

* * *

„კავკაზს“ მოსვლია შემდეგი ცნობა, შესახებ გაზეთებში დაბეჭდილ ამბვისა, ბაქოში ბამბეტას პანაშვიდის თაობაზედ. 24 დეკემბერს 1882 წ. ქ. ბაქოს წარმომადგენელთ მიუმართავთ საქართველოს ეგზარხოსის ყოვლად-უსამღვდელოესს პავლესადმი შემდეგის თხოვნით (დეპეშით): „ბაქოს საზოგადოებას ჰსურს მოიგონოს პატივით ბამბეტა და გადაიხადოს პანაშვიდი მმართლ-მადიდებელ ეკკლესიაში. დეკანოზი არ თანხმდება თქვენის ყოვლად-უსამღვდელოესის ნება-დაურთველად, გთხოვთ ნება დართოთ“. ეგზარხოსს ამ თხოვნაზედ მიუცია შემდეგი პასუხი: „არ შემ ძლიან ნება დავრთო, რადგან ატეისტისათვის (ღვთის უარ მყოფელი) ლოცვა შეურაცხყოფა იქმნებოდა“. საქმეც ამით გათავდა.

* * *

შორაპნის მაზრიდამ გვწერენ ერთ ახირებულ ამბავს:

დღეს ჩვენს მომრიგებელ სასამართლოში გაირჩა ერთი შესანიშნავი საქმე: ხარაგაულის სოფლის ჩხერის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელს მიხეილ კიკნაძეს შემოუტანია საჩივარი ერთს თავისივე მოგვარე აზნაურს კიკნაძეზე და უთხოვია გარდაახდევინონ ხსენებულს კიკნაძეს ხუთი თუმანი, რომელიც ამას უნდა მიეცა მღვდლისათვის პირობისამებრ. მღვდელი სწერს თავის თხოვნაში ასე:—„გ. კიკნაძე იყო ეშმაკეულებით დიდი ხნიდამ ავად და მთხოვა მე მეხმარა ჩემი საშუალება და ეს ბოროტი სული გამედევნა მისგან. მე ვეცადე ბევრი და, ვმადლობ ღმერთს, განვაშორე ეს ბოროტი სული ამ კაცისაგან. ის დამპირდა, ამ ბოროტ სულს თუ განვაგდებდი მისი ტანიდგან, ხუთი თუმნის მოცემას. მე ის მოვარჩინე ამ ბოროტი სულისაგან, მაგრამ ხუთი თუმანი აღარ მომცა. გთხოვთ ბ. მოსამართლე გარდაახდევინოთ მას ეს ხუთი თუმანი და საქმის საწარმოებელი“.

სასამართლოში დღეს მომჩივანი მოვიდა და მოპასუხე არა. საქმის გარჩევა რომ უნდა დაეწყოთ, მღვდელმა განაცხადა, რომ მან უკვე მიიღო სრული დაკმაყოფილება მოპასუხისაგან ეშმაკეულობის მისგან განდევნისათვის და ითხოვა საქმის მოსპობა; მოსამართლემაც მოსპო საქმე.

ეს ის მღვდელი გახლავსთ, რომელიც ერთხელ, ამ წინაზედ, ნაშუადამევს შეუვარდა აქ მცხოვრებ ორ დედა-კაცს (ალბად ეშმაკების გასადევნელად)!. დედა-კაცებმა შეჰკოჭეს კარგა მაგრა ბაწრებით წმ. მამა, მოიყვანეს მამასახლისი და ადგილობითი ბლაღოჩინი და შეადგენიენს. ეს ის გახლავსთ, თომელიც ამ ქალებს უჩიოდა: დამიჭირეს და ფული წამართვესო და უპატიურობა მომაყენესო, მაგრამ ამ საჩივარზე ქუთაისის ოლქის სასამართლომ უარი უთხრა და ქალები გაამართლა...

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ს. ეწერი** (სამეგრელო), 19 იანვარს. ჩვენი სამეგრელოს ერთი კუთხე პატარა ს. ეწერი, ჩვენი ლაფიანი ეწერი არარის მოკლებული ლაფიანს საქმებს. აქ, როგორც ყველგან სხვაგანაც ჩვენი ქვეყნის კუთხეებში, ხალხი ძალიან ვიწრო ტაფაში იხრაკება. მშრომელი ხალხი გლეხობა დილით საღამომდე ოფლსა ღვრის თავის ყანებში შემდეგ ვადადის სახემწიფო გზის სამუშაოდ. წვერ-პირ გამტვრიანებული დაღონებული გლეხი იქნევს ქარჩს და დამღერის დაღონებულს სიმღერას, ვინ იცის, რასა ჰფიქრობს. ვის განუზიაროს გულის თქმა?. რამდენი უსამართლოება, წეს-გარეთ გადასვლა...

სახელმწიფო გზა, რომელიც ერთის სიმწარით გაჰყავთ გლეხებს, იმ მიმართულებას იღებს, როგორსაც მოისურვებენ ისინი ვინც ნებივრად სხედან შინ... უნდა გადაუხვიოთ გვერდზედ

მწიფევ, მე დიდის ყურადღებით ყურს გიგდებთ და მერწმუნეთ, მზადა ვარ, მთელი ჩემი სიცოცხლე სულ თქვენ ლაპარაკში გავატარო: მაგაზედ ჩემთვის სასიამოვნო არა არისრა.

მე ვიცოდი, რომ ჩვენი მოგზაურობა ხუთის მინუტის მეტი არ გაგრძელდებოდა და მივიდოდით ვაგზალში.—განწირული ბრძოლა იყო.

— ერთის სიტყვით გეტყვი—პალმერსტონი მომიკვდა და მასთან დავკარგე ყოველივე,—სთქვა გიჟმა.

— მაგასთან რა კავშირი აქვს ტრეფის ტუზსა?—დაუყვირე კიდევ.

— არ მეყურება, რისთვის გინდათ შაიტყოთ ტრეფის ტუზის ამბავი, ბევრი ხანი სიცოცხლისა აღარ დაგრჩენიათ, შეგიძლიათ ის ამბავი არ იცოდეთ, არ შეიტყოთ.

— არ შეიძლება, არას დროს არ შეიძლება. თქვენ აღმითქვით და უთუოდ სიტყვა უნდა აღასრულოთ.

— კარგი ეგრე იყოს, რადგანაც გეტყობათ, კერპი ხართ.—უნდა გახსოვდეთ და იცოდეთ, რომ მე ყოველთვის მორიდებული ვიყავი ქაღალდის თამაშობასა, მაგრამ რადგანაც ყოველ დღე დავდიოდი კლუბში, ვხედავდი ყველანი თამაშობდენ, მეც მიმიზიდა სურვილმა და დავიწყე თამაშობა... ერთხელ მოვიგე, მეორედ წავაგე და ამ სახით მიდიოდა საქმე...

— ქაღალდის თამაშობა შაგიყვარდათ?

— შენ ანუ არ შაგიძლია, ანუ არ გინდა გამიგონო. პალმერსტონის სიკვდილის შემდეგ ისეთი მწუხარე ვიყავი, რომ ქაღალდის თამაშობაში მინდოდა დრო გამეტარებინა და მწუხარება დამვიწყებიყო... ერთს კვირაში იმდენი ფული მოვიგე, რომ არ ვიცოდი სად დამეხარჯა და სად წამეღო. მერმე ბედმა მიმუხთლა და ყოველ დღეს ვაგებდი და ვაგებდი, ასე რომ ნაცარტუტე ავადინე ჩემს სახლსა—ფულით, თუ ნივთეულობით და სულ წავაგე.—მე ვიცი კარგად რისაგან მოხდა ეს საქმე.—ის კაცი, რომელსაც ვეთამაშებოდი კაცი კი არა—ეშმაკი იყო, კაცისა ქონდა მხოლოდ სახე, მე შევამჩნიე თვალებში.

ლოკომოტივმა იწყო გრძლად შტვენა და მატარებელმაც მოუკლო სიჩქარეს. გიჟი ათრთოლდა და, როგორც ისარი, მომვარდა. მე საჩქაროდ წამოვხტი და შეუპოვრად შეუტიე:

— ტრეფის ტუზი? თუ ღმერთი გწამთ, მითხარით, მას რა მოუვიდა?

გიჟი უცებ შესდგა მშვიდობიანად და მუქარით მითხრა:

— შემომფიცე, რომ არ გამცემ და გეტყვი!..

— გეფიცები პატიოსნებას!

— მაშ ყური დამიგდეთ. ტრეფის ტუზი ჩავიდე ხელის სახელში და დავიჭირე სამი ათასი მანეთი, უკანასკნელი ფული ჩემის ქონებიდამ.—ნამდვილად ვიყავი დარწმუნებული მოგებაზედ. ყველანი, უგუნურები, იდგნენ და გვიყურებდნენ, ელოდნენ თამაშობის დაბოლოვებას.—ჩემთან მოთამაშე ცივად იცინოდა, მაგრამ როდესაც სახელიდამ გამოვაცურე ტუზი და მოუკალი, მაშინ დამიჭირა ხელი და დაიყვირა:—„ქურდი“!..

ამ დროს სანთლებმა შამოგვიჭყიტის თვალებში და მატარებელიც დადგა.

გიჟი, გაშტერებული ამ სინათლითა, მიიმალა კუთხეში და უნდოდა დამალულიყო. მე მიუახლოვდი კარებს, ვეძებდი ცახცახით კარების გასაღებს.

— ეს რა არის? ეს რა არის?—მკითხავდა ჩემი ამხანაგი.

ამის პასუხისათვის აღარ მეცალა. კარები გაალეს თუ არა, მეც გიჟივით გავარდი და დავიწყე ყვირილი.

— მიშველეთ, მიშველეთ! აქ ზის გიჟი, რომელსაც უნდოდა მოვეკალი.

ორი კაცი, შავ ტანისამოს ჩაცმულები, იდგნენ პლატფორმაზედ და ათვალიერებდნენ ხალხსა; სინჯამდნენ ვინც გამოდიოდა. გაიგესრა ჩემი ყვირილი, მაშინვე მოვიდნენ ჩემთან და მკითხეს.

— სად არის?.. თხუთმეტის მინუტის წინად ჩვენ მივიღეთ ტელეგრამმა, რომ გიჟების სახლიდამ გამოქცეულა ერთი გიჟი, იქ მოუკლავს ექიმი და ამ მატარებლით წამოსულა. ამბობენ ძრიელ საშიშარი გიჟიაო.

შავხედე და დავინახე, რომ ჩემი პატიოსანი მეგობარი გამოსულიყო კუპედამ, იდგა კარებთან და არ იცოდა, სად დამალულიყო. მე სიტყვის თქმა აღარ შამეძლო და ხელით უჩვენე მაზედ.—როდესაც იგი დაიჭირეს, შამიწუხდა გული და დავეცი დედა-მიწაზედ. წამიყვანეს შინა, სადაც შიშისაგან ერთი კვირა ვიწექი საშინელი ცხელებით-ავადა.

ა. სავანელი.

საჩიქოვანოსკენ: იქ აზნაურების ქალე-ბი იხვეწებიან გზა ჩვენ-კენ გამოიყვა-ნეთ, რომ სტანციაზედ ვისეირნოთო. ამით მეტი ჯაფა გლეხთ, ოთხი ვერ-სის მანძილი მეტი ოფლის ღვრა... მაგრამ არა უშავსრა, ოთხი ვერსტის მეტი ხომ არ იქნება.. რომ ძრიელაც ეწყინოს ხალხს, რაღა ღონეა. მათხა-რეს გზა იქითეენ, საითაც საჭიროება არ მოითხოვდა, განსაკუთრებით ჩი-ქოვანებისათვის და სხ. ახლა მეორე მხარეზედ, ესე იგი დასავლეთისკენ, მცხოვრებელნი აზნაურნი მუგუშვილე-ბი იჩივიან: ჩვენ რაღა დავაშავეთ, რომ ჩვენკენ კი არ აკეთებთ გზასო. ახლა ამათი თხოვნის დაკმაყოფილე-ბაც. ხან სით და ხან სით უქნეს თა-ვი ამ ათას ნაირად ნაჩმახ გზას, ვე-ღარაფერი ვერ გააწყეს და ამ ჟამად სულ დატოვებულია, აღარ მუშაობენ.

„მწევარი ორ კურდღელს გამოუდ-გება და ერთსაც ვერ დაიჭერსო“, სწორედ ესე მოხდა: გამოუდგნენ მე-გობრების და ნაცნობების თხოვნას, გზა კი გაუკეთებელი დასტოვეს და ხალხიც ტყვილად მოაცდინეს. ამ გზა-ზედ თითქმის მთელი მურია, საჭყო-ინდლო სხვა მხრის მცხოვრებნიც დაიარებიან და ესე მცირე ყურადღე-ბას კი აქცევენ მას.

მეგრელი.

# განცხადებანი

—

**არწრუნის თეატრი.**

**კვირას, 30 იანვარ**

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება

## მზის დაბნელება

კომედია 3 მოქმ. თხზ. ზ. ანტონოვისა.

**დასაწყისი 8 საათზედ.**

---

### ქალაქის გამგეობისაგან

ტფ. ქალაქის გამგეობა ამით აცხა-დებს, რომ ვისაც სურს აიღოს იჯარით მოტანა ქვაშა-ნარევი ქვისა (გრავი) სულ 140 კუბიკურ საჟენისა ავთიაკის, ქვე-მო-ბაღის, ელისავეტის, ბულვარის, ლა-ზარევის, კახეთის და ვორონცოვის ქუ-ჩაზე მოსაყრელად,—გამოცხადდნენ ვა-ჭრობაზედ უპრავაში **სამშაბათს, 1 თე-ბერვალს** ამ წლისა, შუადღეზედ.

კონდიციებისა და სხვა ქაღალდების ნახ-ვა, რომელიც ამ საქმეს შეეხება, მსურველს შეუძლიან ქალაქის უპრავაში მუდამ დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2-მდინ.

(3—1)

---

### ქალაქის გამგეობისაგან

ტფ. ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს, რომ, მიხაილოვის (კუკიის) ხიდის გა-ფართოებისათვის საჭირო მუშაობის გა-მო ამ 29 იანვარს საღამოს შვიდ საა-თამდინ ფაიტონებისა და ურმების სია-რული ამ ხიდზე მოსპობილი იქნება.

(1—1)

---



### ინგლისის მაღაზიაში

**ზღვის ბალახი** ფუთი—2 მ. 40 კ.; ვინც იყიდის ერთად ერთ შეკვრას (9 ფუთამდე) დაეთმობა 2 მ. 20 კ. ფუ-თი.

იქვე: ფანრები—30 კ-დამ, საჩაიე-ბი—35 კ., 100 ნემსი—8 კ., პატაუ-კი—20 კ., კანფეთები, პაროშოკი (პო-რაკს) თეთრეულის სარეცხავად, საე-ქიმო ქაღალდი ვატერ-კლოზეტისა-თვის, თაფლის სანთლები 32 კ. ინგლ. გირვ., მაკინტოშები 6 მანეთიდამ და სხვ. და სხვ. (10—8)

---

открыта подписка

на газету

## ТЕРЕКЪ

на 1883 годъ.

Расширяя съ новаго года программу газеты и увеличивая ея размѣръ, редакція „Терека" имѣетъ въ виду обратить особенное вниманіе на вопросы мѣстной Кавказской жизни и ознакомить своихъ читателй съ сложившимися и слагающимися въ нашемъ краѣ общественными, правовыми и экономическими отношеніями, а также съ нуждами, нравами и обычаями племенъ, населяющихъ этотъ обширный, но мало изслѣдованный край.

Газета будетъ выходить три раза въ недѣлю.

Годовая плата съ пересылкою по почтѣ:

На годъ 7 р.; на полгода 4 р.; на 3 мѣс. 2 р. 50 к.; на 1 мѣс. 1 руб.

Подписка принимается въ редакціи „Терека" во Владикавказѣ.

Разсрочка подписной годовой платы допускается: при подпискѣ 3 р., въ апрѣлѣ 2 р., въ августѣ 2 р.

*Рсдакторъ Ип. Веру.*

---

## „იმედი“

**ქართული სალიტერატურო და სა-პოლიტიკო ჟურნალი**

1883 წელში

გამოვა იმავე პროგრამმით, სივრცით და მიმართულებით, როგორც აქამ-დის გამოდიოდა, და ახალის თანა-მშრომელების დახმარებით.

ფასი წლიურის გამოცემისა—8 მ., ნახევარ წლისა—4 მ. და 50 კ., სამი თვისა—2 მ. და 50 კ., ცალკე ნომ-რისა—1 მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილის-ში—მხოლოდ რედაქციაში, ანდრე-ევსკის ქუჩაზე, № 14.

გარეშე მცხოვრებელთ შეუძლიანთ დაიბარონ ჟურნალი ამ ადრესით:

*Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала «Имеди».*

რედაქტორი და გამომცემი

მიხ. გურგენიძე.

---

### ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწო-ლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტე-ები, ხაოვანგები, რკინის კალმები, ქა-ღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფე-ბი, კაცისა და ქალის უნაგირე ი, ალბო-მები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა.

(100—11)

---

ახალი წიგნი

**ისყიდება შავერდოვის გაზეთის სა-აგენტოში, ბულვარზე**

შემოკლებული

**საქართველოს**

## ისტორია

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

---

დაიბეჭდა და ისყიდება კ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

**სალამური**

№ 1.

გამოცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.



---

### ტაქსია

**საკვებზე ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან თფილისის ბაზრებში, დუქ-ნებში და დარტაროებით 16 იანვრიდამ 1 თებერვლამდის.**

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 | კ. |
| მეორის | „ —1 გირ. | 3½ | |
| მესამის | „ —1 გირ. | — | |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 5 | კ. |
| მეორის | „ —1 გირ. | 4 | კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5 | კ. |
| მეორის | „ „ —1 გირ. | 4½ | |
| მესამის | „ „ —1 გირ. | 4 | კ. |

ძროხის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველის ხარისხის | —1 გირ. | 10 | კ. |
| მეორის | „ —1 გირ. | 9 | კ. |
| სუკი | — — —1 გირ. | 16 | კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 10 | კ. |

ღორის ხორცი:

| | | | |
|---|---|---|---|
| პირველი ხარისხის | —1 გირ. | 10 | კ. |
| მეორის | „ —1 გირ. | — | |

---



ინგლისის მაღაზიაში

## თმის ამომყვა-ნი მაკმასტერი



ამაგრებს თმას და ადრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუ-შისა 2 მან., გაგზავნით 2 მა-ნეთი და 28 კაპ.

(100—34)

აქვე ისყიდება ქინის ზომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის სა-პონი, ლუხები და სხვ.

---

### ბიბლიოგრაფიული განცხადება.

**სახელმძღვანელო რუსული ენისა** ქართველთათვის, შედგენილი გ. კალანდარიშვილის მიერ, მეშვიდე გამოცემა, შეცვლილი და დამატე-ბული იაკობ გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა ხმის ასამაღლებელი ნიშნე-ბით (съ удареніями) და ისყიდება გამომცემლის ზაქარია გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში კუკიის ხიდის ყურთან. ფასი ათი შაური. ვინც იყიდის ერთად ნაღდს ფულზედ ოცსა ან მეტს ეგზემპლიარსა, წიგნი დაეთმობა ცხრა შაურათ. ვისაც ყდიანი წიგნი სურს, ამ ფასს უნდა და-უმატოს სამი შაური. გრიქუროვის მაღაზიაშივე ისყიდება ყოველ გვარი სა-ხელმძღვანელო ქართული, რუსული, სომხური და თათრული. გარე-ქალაქე-ბიდგან და ადგილებიდგან ყოველ გვარს დაბარებულებას მაღაზია ასრულებს დაუგვიანებლივ.

**ბუნების კარი**, ანუ ყრმათათვის საკითხავი წიგნი უმცროსს კლა-სებში სახმარებელი, შედგენილი ი. გოგებაშვილისაგან, დაიბეჭდა მეოთხე შეცვლილი გამოცემა და ისყიდება გრიქუროვის წიგნის მაღაზიაში, კუ-კიის ხიდის ყურთან. ფასი თხუთმეტი შაური. სასწავლებლებს და კერძო პირებს, რომელნიც იყიდიან ნაღდს ფულზედ ერთად თხუთმეტს ეგზემ-პლიარისა, ანუ მომეტებულსა, დაეთმობა ეგზემპლიარი თოთხმეტ შაურად; ვინც ორმოც-და-ათს ეგზემპლიარს იყიდის, წიგნი მიეცემა ცამეტ შაურადა. ყდისათვის უნდა დაემატოს სამი შაური.

**კარტა საქართველოსი**, მეორე შევსებული გამოცემა; ისყიდება იმავე მაღაზიაში. ფასი სამი აბაზი; ვინც ათს ეგზემპლიარს იყიდის, კარტა მიეცემა თერთმეტ შაურად, ოცი ეგზემპლიარის მყიდველს—ათს შაურადა.



*Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Января 1883 г.* *Типографія Меликова* გამომცემელი ს. მესხიშვილი. რედაქტორი ს. მესხი